

თაონა ღოცაჯაშვილი

შანთანა ზღვიდან ჩამოსანი ბიჭის
და მასნი ბობოს აბანვი



გოგო

ცას დაკიდებულ ხომალდში ვცხოვრობ. ქვის ძველ ხომალდში. ამ ქვაში ნაკვეთ ქალაქშია ჩემი ოთახი. დღეები გადის ნელა, ზანტად, ზამთარ-ზაფხულის... ლოყებზე - ქორფლი, ცხელი მზის და სხივის დასტური. ქვებზე შრებიან ჩემი ჭრელი ჩითის კაბები. შრებიან როგორც დღეები და ჩემი ამბები:

დილით ვლოცულობ, შუადღისას სადილს ვამზადებ. საღამოს ვქსოვ და ფრესკებისთვის საღებავს ვხარშავ. და სულ ის ბიჭი მახსენდება - ის უცხო ბიჭი, ტაძრის კედელზე დიდთვალეა ღმერთებს რომ ხატავს.

ის ბიჭი მომწონს. ალბათ მომწონს, რადგან მის ნახვას თანა სდევს გულის ამოვარდნა და ფეთქვა ხშირი.

და როცა კვირას, წირვის მერე ტაძარს ვალაგებ, ისიც მიყურებს ისე მწველად, ისეთი ჟინით, მგონია ჩემი გულისცემა მთელ მესხეთში ზარივით ისმის.

ის ბიჭი უცხო გვარისაა, უცხო ქვეყნიდან.

მეფეს ჩამოყვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თმოგველებს მხარგრძლებთან ჰქონიათ ომი. და მერე როცა მხარგრძლებმა აიღეს თმოგვი, მათ კარზე დარჩა და მას შემდეგ ამ ტაძრებს ხატავს. მე ვეხმარები, ფერებისთვის მინდვრებს მოვივლი, ენდროს, იას და ყაყაჩოებს, სოსანს მოვთიბავ.

ცივად დავწურავ, ფერებს ვასხამ, და თიხის ბოთლებს თავს ვუცობ მაგრად, ტაძრის კარებთან ჩუმად ვაწყობ, არ ვკითხულობ არც სახელს, ასაკს. ისიც მეყოფა ბიჭის მზერა გულს რომ მიფატრავს.

მაგრამ ღამეებს მოაქვს მისი ნდომა შეშლილი...

მთვარე ამოდის, გზას მინათებს, წყლის პირას ჩავალ.

ნელა გავიხდი ჩემს ტანსაფარავს, დადუმებულ მხრებს მოედება შეხება ნელი, სავნებო გზაზე სიბნელეა, არ სჩანს არავინ, სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი". წყალში შევცურავ... გათავდება ზანტი ზმორება. და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები. ჩემს სახეს თითქოს ახლა ვაჟი ეამბორება და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები"...

ბიჭი

სხვისი სახლის კედლის ჩრდილში ჩემი გემი დავხატე. შუათანა ზღვიდან შავ ზღვას ჩამოსული გემი. მომაგონდა სპანიოლი, ფორტუგეზი, კრეტი, სანაპიროს ცხელი ქვიშა და ქალაქი თეთრი...

მერე ჭალას ჩავუყევი, მარტო ვიყავ ფეხით, ბინდებოდა, ღამდებოდა,

თითქმის იდგა ბნელი. და იქ, სადაც შრიალი და ბინდი იცის წნორებმა, დავინახე თეთრი გოგო ნაწნავეებს ისწორებდა... “წელს ზევით კი ვარდისფერი ბურუსების ფორები, წელს ქვევით კი, დავინახე ეცვა მხოლოდ მორევი!” არ მინდოდა დავენახე, მიტომ ჩუმად გავბრუნდი, მაგრამ უკვე დამეკარგა სამუდამოდ თვალს რული.

ის ზმანება საოცარი არ ამომდის თავიდან. სადაც უნდა გავიხედო, მაინც ვინყებ თავიდან. გოგო თეთრი, გოგო შველი, ოცნების და ტანჯვისა, საუკუნის მერეც მოვა ეს ხატება ამ მინას, ისე როგორც სალოცავი ჭაჭკარის და კარისა, მტევანი და ღვინის ბანგი ხიზაბავრის ვაზისა... გოგო თეთრი, გოგო რთველი სიამის და დარდისა, ერთხელ მაინც მითხრას სიტყვა, არაფერი არ მინდა.

მაგრამ ისე უტყვი არის, როგორც ეს ქვის კედელი, ხმას არ მცემს და თვალს მარიდებს. გულიც ქვის აქვს - მგლეჯველი, კიდევ უფრო უარესი, ალბათ კლდეზე მედეგი. ვუყურებ და მახსენდება მისი თლილი ფეხები. მთვარის შუქზე ალესილი ვარდისფერი კერტები, ბროლის ტანზე ავლებული წყლის და მთვარის შხეფები...

გოგო

“მე ნუქარდინ. სულთანს ყოვლის, მოვლინებული მოჰმედისაგან , მოგიმცნობ მეფეს ქართველთას თამარს. უარყოს სჯული თვისი და სულთანს დამიჯდეს ხარჭად...” - წერილის მომტან კაცს მხარგრძელმა უხეტქა ხელით და გაათრიეს მკვდარი ელჩი რუქნადინისა.

“ქუდზე კაციო!” - და ერთ დღეში მოგროვდა ჯარი.

ბასიანისთვის. თამარისთვის. საქართველოსთვის.

და მაშინ ვნახე პირველად მეფე. როგორც ფრესკებზე. ახლა უკვე აქ, ვარძიის ქვებზე,

იდგა და ასე ფეხშიშველი ჯარს ლოცავდა მეფე თამარი.

ისიც იქ იდგა, ჯარისკაცი, აღარ მხატვარი. და ვიდრე ომში წავიდოდა - მინდოდა მეთქვა:

რომ მიყვარს და მქვია - კრავაი...

ბიჭი

ჯარს გვლოცავდა. მივდიოდით, ზემოთ იდგა ქალაქი, მღვიმეებში ქანდაკებად - ვარძია და რაბათი. მალლა - ღმერთი, ქვემოთ - მიწა, იქვე მეფე თამარი.

ფეხშიშველი იყო მეფე, ცრემლით თვალზე გვლოცავდა, ჯაყელს ცხენი შეეკაზმა, თმოგველს უბელოდ ჰყავდა.

და იმ ხალხში მისი შავი ნაწნავი რომ დავლანდე, ლამის გული ამოვარდა, ლამის სული გაორდა...

მაგრამ ისე შორს იყო და იმდენ ხალხში ჯავრობდა, ვერ ვეტყოდი, არ შემეძლო, ომის ზარიც მაკრთობდა. ჰოდა ნეტა თუ გადავრჩი, თუ დავბრუნდი. თუ მოვალ, იქნებ მაშინ შევძლო ვუთხრა - რომ მიყვარს და სანდრო ვარ.